ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4854282

ნომერი: AR1732139

თარიღი : 01.02.2020

გაცემის თარიღი : 10.02.2020

გაცნობის თარიღი : 11.02.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსუდანი აბდუშელიშვილი პ/ნ 01011046641
- თბილისი გ.აბრამიშვილის ქ. #68, ბინა 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ–ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ:
აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1)–ში, რომელიც წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონას და მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს (ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა) სადაც დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკების.
ასევე თქვენ დაინტერესბაში არსბეულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.12.016.024) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მე-16 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)- ის განსაზღვრული პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი 700კვ.მ, მინიმალური სიგანე 20 მ., მინიმალური სიღრმე 30 მ. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის პარამეტრები ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულს, შესაბამისად მისი სამშენებლოდ განვითარება არ არის შესაძლებელი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.